ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2872549

ნომერი: AR1443294

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 04.10.2016

გაცნობის თარიღი : 06.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურმან კორძაია პ/ნ 12001033324
- თბილისი დიდი ლილო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დამხმარე შენობის განთავსების (დროებითი სტატუსით) შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდი ლილო, დიდი ლილო, შ.პ.ს. NB-PETROL-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 81.08.17.679), I კლასის დამხმარე შენობის განთავსებაზე (დროებითი სტატუსით) წერილობითი თანხმობის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. NB-PETROL-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 81.08.17.679, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016475674 02/08/2016წ., ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდი ლილო, დიდი ლილო, შ.პ.ს. NB-PETROL-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 81.08.17.679), I კლასის დამხმარე შენობის განთავსებაზე (დროებითი სტატუსით) წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას.

- გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტი ქალაქის პირველივე მოთხოვნის შემთხვევაში თქვენივე ხარჯებით უნდა დაექვემდებაროს დემონტაჟს.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.